სერბეთის პატრიარქი პორფირე სერბეთში რუსეთის ისტორიული საზოგადოების წარმომადგენლობის გახსნის ცერემონიას დაესწრო

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 27.10.2025. 2025 წლის 26 ოქტომბერს, ბელგრადში, საზეიმო ვითარებაში გაიმართა რუსეთის ისტორიული საზოგადოების წარმომადგენლობის დამფუძნებელი სხდომა სერბეთის რესპუბლიკაში.

წარმომადგენლობას, რომელიც 2025 წლის ივნისში დაარსდა, ხელმძღვანელობს ქვეყნის ყოფილი ვიცე-პრემიერი და „სერბიაგაზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ვულინი.

ღონისძიების მონაწილეთა შორის იყვნენ სერბეთის უწმინდესი პატრიარქი პორფირე; რუსეთის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე, რუსეთის ისტორიული საზოგადოების თანათავმჯდომარე კ.ი. მოგილევსკი; სერბეთის რესპუბლიკის პრემიერმინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი ივიცა დაჩიჩი; სერბეთში რუსეთის ელჩი ა.ა. ბოცან-ხარჩენკო; სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები – ბაჩის მიტროპოლიტი ირინეოსი და ბუდიმლიე-ნიკშიჩის მიტროპოლიტი მეთოდე; ისტორიკოსი პროფესორი ალექსანდრე რაკოვიჩი; საზოგადოების მრავალი წევრი და სხვა სტუმრები. სულ დარბაზში ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა.

ვიდეომისალმების ფორმატში შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარე ს.ე. ნარიშკინი. მან ხაზი გაუსვა, რომ ორ ქვეყანას შორის ისტორიულ კავშირებს მდიდარი და ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რომელიც გაძლიერებულია რწმენის ერთობითა და რუსეთისა და სერბეთის ხალხების კულტურული სიახლოვით, და მადლობა გადაუხადა ალექსანდრე ვულინს წარმომადგენლობის დაარსების ინიციატივისთვის. გამოთქვა აგრეთვე რწმენა, რომ ასეთი პლატფორმის შექმნა რუს და სერბ ისტორიკოსებს შორის თანამშრომლობას თვისობრივად ახალ დონეზე ამაღლებს და ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო და კულტურულ კავშირებს გააძლიერებს.

თავის გამოსვლაში წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ვულინმა, განაცხადა, რომ წარმომადგენლობა გააერთიანებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება.

კ.ი. მოგილევსკიმ რუს და სერბ ხალხებს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებული კავშირი გაკვალა და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის მაგალითები მოიყვანა. მისი მოსაზრებით, წარმომადგენლობა ფართო ისტორიულ განათლებას განახორციელებს, ხელს შეუწყობდა კონტაქტებს რუსეთისა და სერბეთის ჰუმანიტარულ ცენტრებს შორის და განავითარებს თანამშრომლობას ორი ქვეყნის არქივებსა და მუზეუმებს შორის.

„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ყველას სახელით, ვინც გულში ატარებს სერბეთისა და რუსეთის, სერბი და რუსი ხალხების სიახლოვის განცდასა და გამოცდილებას, და არა მხოლოდ ნამდვილი მეგობრობისა და ძმური ურთიერთობების აღსანიშნავად, არამედ ჩვენი წინაპრებისა და წინამორბედების მიერ დატოვებული აღთქმის დასადასტურებლად და გასაძლიერებლად“, – განაცხადა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა. ამ სულისკვეთებით, სერბეთში რუსეთის ისტორიული საზოგადოების წარმომადგენლობის საზეიმო გახსნა არის „სერბ და რუს ხალხებს შორის არსებული ორმხრივი სულიერი კავშირის დადასტურება, რომლებიც მთელი ისტორიის განმავლობაში ჰარმონიულად და ნათესაურად ცხოვრობდნენ და, ღვთის ნებით, მომავალშიც ასე იცხოვრებენ“, – დარწმუნებულია მისი უწმინდესობა.

მიულოცა რა დამსწრე საზოგადოებას ქვეყანაში რუსეთის ისტორიული საზოგადოების წარმომადგენლობის დაარსება, სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა ყველა იქ მყოფზე ღვთის კურთხევა მოიხმო და წარმატებები უსურვა დაწესებულების მომავალ საქმიანობაში.

გამომსვლელთა შორის იყო, ასევე, ბაჩის მიტროპოლიტი ირინეოსი, რომელმაც სიხარული გამოთქვა

სერბეთში რუსეთის ისტორიული საზოგადოების წარმომადგენლობის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის შესაძლებლობისთვის, რომელიც, მისივე თქმით, მიეძღვნება „ჩვენი ორი მოძმე ხალხისა და ჩვენი ორი და-მართლმადიდებელი ეკლესიის საერთო ისტორიის გაგებას, შესწავლასა და პოპულარიზაციას“.

*მასალა მომზადებულია **რუსეთის ისტორიული საზოგადოებისა და სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საიტების** ინფორმაციების მიხედვით*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93702/